საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
განათლების ხარისხის განვითარების
ეროვნული ცენტრის დირექტორის
ბრძანება

MES 1 21 0000782150

10/08/2021

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტის შერჩევის მიზნით კონკურსის გამოცხადების შესახებ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „კ“ და „ნ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის 2021 წლის 05 აგვისტოს №773238 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით,

ვბრძანებ:

1. 2021 წლის 10 აგვისტოდან 2021 წლის 25 აგვისტოს ჩათვლით გამოცხადდეს კონკურსი ცენტრის პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტის შერჩევის მიზნით.
2. ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებულ თანამდებობაზე ანაზღაურება განისაზღვრება 1800 (ათას რვაასი) ლარის ოდენობით.
3. ცენტრის პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტის თანამდებობაზე კონკურსი გამოცხადდეს 1 (ერთი) ადგილზე.
4. სამუშაოს ტიპი - სრული განაკვეთი.
5. გამოსაცდელი ვადა - 3 თვე.
6. ცენტრის პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტის მიმართ დადგინდეს შემდეგი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:
ა) უმაღლესი განათლება (სასურველია განათლების ადმინისტრირების, ბიზნესის ადმინისტრირების ან საჯარო მმართველობის მიმართულებით);
ბ) პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ფუნქციონირების ან/და პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ცოდნა, რომელიც დასტურდება შესაბამისი კვალიფიკაციით (დიპლომი ან/და სამუშაო გამოცდილება);
გ) კომპიუტერული (საოფისე) პროგრამების (Ms. Word, Ms. Excel) კარგად ცოდნა, რაც დასტურდება წარმოდგენილი რეზიუმეთი.
7. კონკურსში მონაწილე კანდიდატს მოეთხოვება შემდეგი საკონკურსო თემატიკის ცოდნა:

ა) საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი;
ბ) საქართველოს კანონი „პროფესიული განათლების შესახებ“ და მის საფუძველზე მიღებული კანონქვემდებარე აქტები;
გ) საქართველოს კანონი „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“;
დ) „პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილება;
ე) „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანება;
ვ) „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანება;
ზ) „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის რეორგანიზაციის გზით საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბერის №89/ნ ბრძანება.
8. ცენტრის პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტის მიერ შესასრულებელი სამუშაოს აღწერა:
8.1. მოქმედი სამართლებრივი აქტების შესაბამისად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით მონიტორინგის პროცესებში მონაწილეობა, რაც მოიცავს:
ა) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების და პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით, ცენტრში შემოსული წერილების, საჩივრების შესწავლა და შესაბამისი რეაგირების მოხდენა სამსახურის კოორდინატორის კოორდინირებით;
ბ) სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით გეგმიური და არაგეგმიური მონიტორინგის პროცესების განხორციელებაში მონაწილეობა და შედეგების განხილვის უზრუნველყოფა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოების სხდომებზე;
გ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშების შესწავლის პროცესში მონაწილეობა;
დ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების და პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულებების და იურიდიული პირების სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით განხორციელებული მონიტორინგების, თვითშეფასების ანგარიშების შეფასებისა და დამდგარი შედეგების შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის დამუშავების ანალიზში მონაწილეობა.
8.2. ხელმძღვანელის სხვა დავალებების შესრულება, რომლებიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას.

9. კონკურსში მონაწილე კანდიდატს უნდა გააჩნდეს შემდეგი უნარები (რაც უნდა დასტურდებოდეს წარმოდგენილი რეზიუმეთი, კანდიდატის მიერ დაკავებული პოზიციების ფარგლებში შესრულებული ფუნქცია-მოვალეობებით, შესაძლოა ასევე შეფასდეს გასაუბრების დროს):

ა) საქმიანობის კოორდინაცია;

ბ) დროის ეფექტური მართვა;

გ) ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია;

დ) ანალიტიკური აზროვნება;

ე) გუნდური მუშაობა;

ვ) კონფლიქტური სიტუაციების მართვის უნარი.

10. კონკურსში მონაწილეობისთვის კანდიდატმა ცენტრის ელექტრონულ ფოსტაზე - jobs@eqe.ge - უნდა გამოგზავნოს:

ა) ავტობიოგრაფია (CV) და მიუთითოს ორი რეკომენდატორის ვინაობა (სახელი, გვარი, სამუშაო ადგილი, ელექტრონული ფოსტის მისამართი და ტელეფონის ნომერი);

ბ) უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის (დიპლომი ან/და ცნობა შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე, უცხოეთში მიღებული განათლების შემთხვევაში, უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების თაობაზე გადაწყვეტილება ან აღიარების დოკუმენტი) ასლი;

გ) სამოტივაციო წერილი, რომელშიც უნდა ჩანდეს თუ რატომ სურს კანდიდატს გახდეს ცენტრის პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი, მისი პიროვნული თვისებები, სამუშაო გამოცდილება ან/და პროფესიული უნარ-ჩვევები, რომლებიც დაეხმარება აღნიშნულ თანამდებობაზე მუშაობაში.

11. კონკურსი ჩატარდეს 3 ეტაპად:

ა) კონკურსში მონაწილეობისათვის წარდგენილი განაცხადების ძირითად ფორმალურ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;

ბ) კანდიდატის შეფასება;

გ) კონკურსის შედეგების გამოცხადება.

12. კანდიდატთა შეფასება განხორციელდეს დოკუმენტაციის შესწავლისა და გასაუბრების საფუძველზე, საკონკურსო თემატიკის ცოდნის, ვაკანტური თანამდებობისთვის დადგენილი უნარების და მოტივაციის გათვალისწინებით.

13. თითოეულ კონკურსანტთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილება მიიღება განაცხადების წარდგენის ვადის დასრულებიდან არაუგვიანეს 3 თვის ვადაში.

14. დაევალოს ცენტრის ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების სამსახურს ვებგვერდის - www.jobs.ge - მეშვეობით კონკურსის გამოცხადების უზრუნველყოფა.

15. დაევალოს ცენტრის საზოგადოებასთან ურთიერთობის და საორგანიზაციო სამმართველოს ამ ბრძანების ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე - www.eqe.ge - გამოქვეყნების უზრუნველყოფა.

16. დაევალოს ცენტრის ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების სამსახურს ამ ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის უზრუნველყოფა.

17. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი
მარგიშვილი ლაშა